ოქმი:**ო31. 3123172001**
თარიღი:**21/06/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი №6

ქ. ლანჩხუთი

15. 06. 2023 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე მაკა მშვიდობაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე კახაბერ ასკურავა, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ბიუროს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა რამდენიმე საკითხი და მიმართა ბიუროს წევრებს, რომ აღნიშნული საკითხები დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სამსახურებრივი უფლებამოსილების

განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კურორტ გრიგოლეთის ცენტრალური ქუჩისათვის წმ. გრიგოლის სახელის მინიჭების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ.ჯუნეწერში არსებული სკვერისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენოსანი დავით ბოლქვაძის სახელის მინიჭების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანასთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას განსაზღვრული წლიური ქირის საფასურის ოდენობაზე, მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების

ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირების, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შპს „საქართველოს ფოსტასთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას განსაზღვრული წლიური ქირის საფასურის ოდენობაზე, მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

6. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის მაისის თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ “ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ “ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კურორტ გრიგოლეთის ცენტრალური ქუჩისათვის წმ. გრიგოლის სახელის მინიჭების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში

შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

10. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ.ჯუნეწერში არსებული სკვერისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენოსანი დავით ბოლქვაძის სახელის მინიჭების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

11. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2023 წლის 27 ივნისი 12:00 საათი.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანასთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას განსაზღვრული წლიური ქირის საფასურის ოდენობაზე, მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მომართა ა(ა)იპ ,,სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანას“ (ს.კ 433642356) დირექტორმა ციცინო ჩხარტიშვილმა, (კანცელარიის N10/302313146-30 11.05.2023 წელი) რომელმაც ცენტრის მიერ განსახორციელებელი პროგრამის ფარგლებში. კერძოდ, „ბავშვის უფლებათა კოდექსით“ განსაზღვრული ბავშვთა მხარდამჭერი ღონისძიებების გატარების, ბავშვის მიტოვების ან ოჯახისაგან განცალკევების პრევენციის, ოჯახების მხარდაჭერისა და ბენეფიციართა სოციალური ინკლუზიის მიზნით, ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში მარჯანიშვილის ქ. N11-ში მდებარე 747.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული 108,68 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.06.56.086)) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურმა, განსაზღვრა პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადასაცემი, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების წლიური ქირის საფასური, (რომელიც შეადგენს- 12 ლარს.)

,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით

გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს თანხმობით.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანასთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას განსაზღვრული წლიური ქირის საფასურის ოდენობაზე, მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი:„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა.** მისი განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში არსებულმა აუქციონატორმა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის უძრავ ქონების, კერძოდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩიბათში მდებარე 4893.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 27.09.50.281) პრივატიზების მიზნით, სამჯერ უზრუნველყო მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნის შესაბამისად, ელექტრონული აუქციონის მოწყობა - სხვადასხვა საწყისი საპრივატიზებო საფასურით, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი განკარგვა არ განხორციელდა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა, რომ ზემოაღნიშნულ უძრავ ქონებაზე ისევ გამოცხადდეს განმეორებითი ელექტრონული აუქციონი, რომლის საფუძველზეც მომზადდა წარმოდგენილი პროექტი, სადაც ზემოაღნიშნული უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური 70%-ით შემცირდა.

,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საკრებულოს უფლებამოსილებას მიეკუთვნება 50%-ს ქვემოდ ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრა.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განმეორებითი ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, საწყისი საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა.** მან აღნიშნა, რომ მე-4 და მე-5 პუნქტების თანახმად მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შესაძლებელია

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფორმებით: აღნაგობა; უზუფრუქტი; ქირავნობა; იჯარა; თხოვება; საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის სხვა ფორმებით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება აუქციონის ფორმით ან პირდაპირი განკარგვის წესით. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის

უფლებით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, პირდაპირი განკარგვის წესით მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შეიძლება სასყიდლით ან უსასყიდლოდ, პირობით ან უპირობოდ.

გარდა თბილისის მუნიციპალიტეტისა, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მუნიციპალიტეტის ქონებას უსასყიდლო აღნაგობის, უსასყიდლო უზუფრუქტისა და თხოვების ფორმებით, აუქციონის გარეშე, გადასცემს სახელმწიფო და ავტონომიური რესპუბლიკების ორგანოებს, სხვა მუნიციპალიტეტებს, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს (გარდა პოლიტიკური პარტიებისა), მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებსა და მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ საწარმოებს.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას 2023 წლის 31 მაისს N 69 წერილით (კანცელარიის ნომერი N 13/302315112 – 30 31.02.2023 წ.) მომართა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“-ს (ს/კ 433649322) დირექტორმა გოჩა მოქიამ, რომლითაც მოთხოვნილია ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქ. N 76 -ში მდებარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობაში (ს/კ 27.06.52.002) განთავსებული შემდეგი ოთახების გადაცემა სარგებლობაში : პირველ სართულზე - ოთახი N 14 – 18,38კვ.მ. ოთახი N 15 – 10,51 კვ.მ. ოთახი N 16 – 35,20 კვ.მ. ოთახი N 17 – 21,95 კვ.მ. ოთახი N 18 – 22,54 კვ.მ. ოთახი N 19 – 19,67 კვ.მ. ოთახი N 20 – 170,18 კვ.მ. მეორე სართულზე - ოთახი N 10 – 12,97 კვ.მ. ოთახი N 12 – 17,66 კვ.მ ოთახი N 13 – 10,05 კვ.მ. ოთახი N 17 – 25,60 კვ.მ. ოთახი N 18 – 16,37 კვ.მ. ოთახი N 19 – 31,81 კვ.მ. ოთახი N 20 – 29,52 კვ.მ. ოთახი N 21 – 22,91 კვ.მ. ოთახი N 22 – 23,59 კვ.მ. ოთახი N 23 – 34,72 კვ.მ. საერთო ფართი - 523,63 კვ.მ. ზემოთ აღნიშნულ ოთახებს ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი“-ს (ს/კ 433649322) თანამშრომლები იყენებენ სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა, რომ ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრს" (ს/კ 433649322) უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით მისი არსებობის ვადით გადაეცეს ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქ. N 76 -ში მდებარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობა- ნაგებობაში (ს/კ 27.06.52.002) განთავსებული შემდეგი ოთახები: პირველ სართულზე - ოთახი N 14 – 18,38კვ.მ. ოთახი N 15 – 10,51 კვ.მ. ოთახი N 16 – 35,20 კვ.მ. ოთახი N 17 – 21,95 კვ.მ. ოთახი N 18 – 22,54 კვ.მ. ოთახი N 19 – 19,67 კვ.მ. ოთახი N 20 – 170,18 კვ.მ. მეორე სართულზე - ოთახი N 10 – 12,97 კვ.მ. ოთახი N 12 – 17,66 კვ.მ ოთახი N 13 – 10,05 კვ.მ. ოთახი N 17 – 25,60 კვ.მ. ოთახი N 18 – 16,37 კვ.მ. ოთახი N 19 – 31,81 კვ.მ. ოთახი N 20 – 29,52 კვ.მ. ოთახი N 21 – 22,91 კვ.მ. ოთახი N 22 – 23,59 კვ.მ. ოთახი N 23 – 34,72 კვ.მ. საერთო ფართით - 523,63 კვ.მ. თავისი ფუნქციების შესასრულებლად.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირების, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, ერთი და იგივე შინაარსობრივი განცხადებით, წერილობით მომართა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებმა პირებმა - ლია კუპრაძემ (კანცელარიის ნომერი N19/302315027-30 30/05/2023 წ.) და მაია თურმანიძემ (კანცელარიის ნომერი N19/30231508-30 30/05/2023 წ.) რომლებმაც - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიასთან გაფორმებული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის, კერძოდ, სარგებლობის ქირის საფასურის გადაუხდელობის გამო, ითხოვეს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლება.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, უფლებამოსილია, გადაწყვიტოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან განთავისუფლების საკითხი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური აღნიშნავს, რომ ამ დროისათვის სარგებლობის უფლებით მიმღებ პირებს - ლია კუპრაძესა და მაია თურმანიძეს სრულად აქვთ გადახდილი მუნიციპალიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო გადასახადი. სამსახური ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე, მიზანშეწონილად მიიჩნევს რომ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირები, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის შემთხვევაში, გათავისუფლდნენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები პირების, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლებაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შპს „საქართველოს ფოსტასთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას განსაზღვრული წლიური ქირის საფასურის ოდენობაზე, მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა.** მისი განმარტებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით (კანცელარიის ნომერი 30-302308884 29/03/2023 წელი) მომართა შპს „საქართველოს ფოსტის“ (ს/კ 203836233) წარმომადგენელმა გივი კუბლაშვილმა, რომელმაც სამი წლის ვადით, ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩის მიმდებარედ არსებული 463.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან

(ს/კ 27.06.51.394) 6 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურმა განსაზღვრა პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადასაცემი, ზემოაღნიშნული უძრავი ქონების წლიური ქირის საფასური.(რომელიც შეადგენს - 3600 ლარს)

,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების

დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის N669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას, ქირის წლიური საფასურის ოდენობა განისაზღვრება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს თანხმობით.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შპს „საქართველოს ფოსტასთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემისას განსაზღვრული წლიური ქირის საფასურის ოდენობაზე, მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის მაისის თვის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2023 წლის მაისის თვეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 1796161.95 ლარი; სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილმა ტრანსფერმა შეადგინა 1764461.95 ლარი; საანალიზო პერიოდში შემოსავლებმა (კაპიტალურის ჩათვლით) 1418838.282 ლარი შეადგინა, რაც წლიურ გეგმასთან მიმართებაში შეადგენს 40.1 %-ს; დღგ-მ შეადგინა 1009569.25 ლარი, რაც წლიურ გეგმასთან მიმართებაში შეადგენს 40.0 %-ს; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი - 2229.87 ლარი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი - 3007.7 ლარი; სხვა შემოსავლების სახით ბიუჯეტში შემოსულია 390777.402 ლარი, მათ შორის: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის შემოსულია 2293.24 ლარი; ჯარიმები, სანქციები და საურავებით მიღებულია 242146.962 ლარი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2023 წლის მარტის თვეში შემოსულობებმა

3215000.232 ლარი შეადგინა,რაც წლიურ გეგმასთან მიმართებაში შეადგენს 47.1 %-ს;

განვლილ საფინანსო პერიოდში ხარჯის სახით გაწეული იქნა 12638423 ლარი. მაისის თვეში შრომით ანაზღაურებაზე გაიცა 2834836 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გაიცა 1151582 ლარი, საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიმართა 3193858 ლარი; სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიმართა 938055 ლარი, რაც წლიურ გეგმასთან მიმართებაში შეადგენს 7.4 %-ს; არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართული იქნა 3576279 ლარი. მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ საერთო ჯამში, მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსავლების დინამიკა მიმდინარეობს ნორმალურად და ყველა ვალდებულება შესრულებულია.

ბიუროს წევრების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მაისის თვის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მაისის თვის შესრულების ანგარიში.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ “ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ შეთანხმების საფუძველზე მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით 3-ერთეული ავტობუსის შეძენის დაფინანსების საავანსო ღირებულება (40%-ი) თანხა (სავარაუდო ღირებულებიდან გამომდინარე) განისაზღვრა 350.0 ათ.ლარი. მიმდინარე წლის გაფორმებულ N156 ხელშეკრულების თანახმად, მუნიციპალიტეტის საჭიროებისთვის შეძენილი იქნება 5 ერთეული ავტობუსი თანხით 1717.5 ათ ლარი. აქედან, 2 ერთეული ავტობუსის შეძენა თანხით - 687.0 ათ.ლარი, დაფინანსდება ფინანსთა სამინისტროს მიერ, ხოლო 3 ერთეულის შეძენას თანხით - 1030.5 ათ.ლარი, განახორციელებს მუნიციპალიტეტი, რომლის 40 % - 412.2 ათ.ლარი ავანსის სახით მიმდნარე წელს უნდა ჩაერიცხოს მომწოდებელს.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტის არაფინანსური აქტივების მუხლი უნდა გაიზარდოს 63.0 ათ.ლარით, ხოლო დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით, შემოსავლის ნაწილში გაიზარდოს სხვა შემოსავლები 63.0 ათ.ლარით სანებართვო მოსაკრებლის გეგმის ზრდის ხარზე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **ვერიკო კვირკველია** დაინტერესდა, იქნება თუ არა ახალი ავტობუსები შშმ პირებზე ადაპტირებული, რაზეც მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ ამის შესახებ მისთვის ცნობილი არ არის, მაგრამ როგორც წესი, ახალგამოშვებული ავტობუსები უნდა იყოს ადაპტირებული.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ხელაძე** დაინტერესდა იმასთან დაკავშირებით, რომ ახალი ავტობუსების შემოყვანის შემდეგ მგზავრობის საფასური იგივე დარჩება თუ მოხდება მისი დარეგულირება.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ შედგება კალკულაცია, რომელიც არის ფასების განმსაზღვრელი.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
2. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მერვე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N37 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ “ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ.** მან განმარტა, რომ ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტის მიღების საფუძველია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაცია და „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 ივნისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

2.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეცხრე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კურორტ გრიგოლეთის ცენტრალური ქუჩისათვის წმ. გრიგოლის სახელის მინიჭების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მისი განმარტებით, სამთავრობო კომისიიდან მიღებულია თანხმობა, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია კურორტ გრიგოლეთის ცენტრალური ქუჩას მიენიჭოს წმ. გრიგოლის სახელი.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარემ **ია მოქიამ** აღნიშნა, რომ გრიგოლეთი წარმოადგენს საკურორტო ზონას, ზაფხულის თვეში მრავლადაა ტურისტი, დამისამართების არქონის გამო უჭირთ კონკრეტული სასტუმროს ან ადგილმდებარეობის დაზუსტება, ასევე უჭირთ სასწრაფო და სამაშველო გადაუდებელ სამსახურებს შემთხვევის ადგილზე მისვლა, ადამიანები კი ვერ სარგებლობენ ელექტრონული სისტემის მეშვეობით იპოვონ ადგილმდებარეობის ზუსტი მისამართი. სწორედ ამ პრობლემების აღმოფხვრის მიზნით, რათა გაუადვილდეს მუშაობა სამსახურებს, მოსახლეობას და უცხოელ ტურისტებს, რამდენიმე თვეა მოსახლეობასთან აქტიურად თანამშრომლობით და მათი ინიციატივით მუშაობენ გრიგოლეთის მთავარი ქუჩის დამისამართების საკითხზე.

ფრაქციის თავმჯდომარე უშუალოდ მონაწილეობდა მოსახლეობასთან შეხვედრებში და მათი უმრავლესობის მოთხოვნით შეირჩა წმინდა გრიგოლის სახელწოდება, რადგან გრიგოლეთში მდებარეობს წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის სახელობის ტაძარი, რომლის მრევლიც ისინი არიან.

იმისათვის, რომ გრიგოლეთი მეტად განვითარდეს, მოიზიდონ მეტი ტურისტი, ზაფხულში გახდეს უფრო მიმზიდველი და პერსპექტიული, ფრაქცია მხარს უჭერს მოსახლეობის ინიციატივას, ამიტომ შემოვიდნენ წინადადებით, შემჭიდროებულ ვადებში, განვიხილონ გრიგოლეთის N1 და N2 ქუჩებისთვის (მთავარი ქუჩისთვის) წმინდა გრიგოლის სახელწოდების მინიჭების შესახებ მოსახლეობის ინიციატივა. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვა ,, ღვთისმეტყველი" სახელწოდებაში არ ჩაისვა, რადგან არის რთულად წარმოსათქმელი, ამიტომ უცხოელი ტურისტებისთვის უფრო აპრობირებული რომ ყოფილიყო, შეთანხმდნენ ,,წმ. გრიგოლი"-ს მინიჭებაზე, რაზეც მამა ზაბულონის და დედა ემილიას თანხმობაცაა. აქ საუბარია მთავარ ქუჩაზე, ხოლო რაც შეეხება შიდა ქუჩებს, მოსახლეობის სურვილია, რომ მათ ეწოდოს სხვადასხვა სახელი.

ამის შემდეგ, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარემ **ია მოქიამ** მადლობა გადაუხადა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას საკითხთან დაკავშირებით ასეთი ოპერატიული რეაგირებისთვის.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეათე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ.ჯუნეწერში არსებული სკვერისთვის საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენოსანი დავით ბოლქვაძის სახელის მინიჭების შესახებ"ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მან აღნიშნა, რომ მისი განმარტებით, სამთავრობო კომისიიდან მიღებულია თანხმობა, რაც იძლევა საშუალებას, რომ გვიმბალაურის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. ჯუნეწერში არსებულ სკვერს მიენიჭოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპული ვახტანგ

გორგასლის II ხარისხის ორდენოსანი დავით ბოლქვაძის სახელი.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **ვერიკო კვირკველია** დაინტერესდა, როდის მოწესრიგდება ჟორდანიას და კოსტავას ქუჩების კვეთაზე ტროტუარის გადასასვლელი, ასევე, რა მდგომარეობაა ცენტრალურ პარკთან დაკავშირებით.

მუნიციპალიტეტის მერის, **ალექსანდრე სარიშვილის** განმარტებით, შესაბამისი სამინისტროდან უახლოეს პერიოდში ელოდებიან ფინანსურ რესურსს. გარდა ამისა, რეგიონული განვითარების ფონდის ფარგლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტები 100 % არის შესრულებული, თუ არ ჩაითვლება აღნიშნული გადასასვლელი და სოფ. ლესაში პატარა ქუჩა, სადაც არაკეთილსინდისიერად შესრულებული სამუშაოების გამო შეიქმნა გარკვეული პრობლემა. რაც შეხება პარკის თემას, ზოგადად, პროექტი არ არის ჩაბარებული. კომპანიას შეუწყვიტეს ხელშეკრულება და შემოვა ახალი კომპანია, რომლის მიერ მოხდება ყველა არსებული ხარვეზის გამოსწორება.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ **ია მოქიამ** აღნიშნა, რომ პროფესორმა შუქრი თავართქილაძემ საკრებულოს სხდომაზე ისაუბრა კურორტ გრიგოლეთის სანაპირო ზოლში ქვიშის სრულყოფილად გამოკვლევის თაობაზე, სადაც მაგნეტიტის რაოდენობა ურეკის ქვიშის ანალოგიურია. კვლევების ჩასატარებლად საჭიროა 20000 ლარი. მან თხოვნით მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ აღნიშნული საკითხი განიხილონ საკრებულოს სხდომაზე, რათა შეძლებისდაგვარად მოხდეს საჭირო თანხის გამოყოფა, რადგან ეს ხელს შეუწყობს კურორტის განვითარებას და ტურისტების მოზიდვას.

მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ საკითხის შესახებ მისთვის ცნობილია, რადგან პროფესორ ზურაბ თავართქილაძესთან ჰქონდა შეხვედრა. მისი თქმით, თუკი საკრებულოს მხრიდან იქნება ამის თაობაზე მოთხოვნა, მაშინ ფინანსური რესურსიდან გამონახავენ გარკვეულ თანხას. ამასთან დაკავშირებით, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, **ვერიკო კვირკველიას** განცხადებით, მხარს უჭერენ აღნიშნულ საკითხს.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ სხვადასხვა ღონისძიებებთან დაკავშირებით ფინანსური კუთხით არის საკითხები, რომელთა გათვალისწინება ბიუჯეტში ცვლილების განხორციელებისას დროულად უნდა მოხდეს.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ, **კახაბერ ასკურავამ** აღნიშნა, რომ ხარკოვის ოლქში, „ნოვა კახოვკას“ ელექტროსადგურის კაშხალზე მომხდარ აფეთქებას შედეგად მოჰყვა ეკოლოგიური კატასტროფა, რამაც მთელი მსოფლიო აღაშფოთა. მან მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ რადგან ეს ქალაქი დაძმობილებულია ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტთან, აქედან გამომდინარე, გაიგზავნა თუ არა თანაგრძნობის წერილი მომხდარ კატასტროფასთან დაკავშირებით და ასევე, ხომ არ იგეგმება რაიმე კუთხით დახმარების გაწევა, რადგან მზად არიან ნებისმიერი სახით მონაწილეობა მიიღონ ამ ღონისძიებაში, რადგან მსგავსი საშინელი კატასტროფა, რაც განახორციელა პუტინის ფაშისტურმა ხელისუფლებამ, არ ახსოვთ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ.

მუნიციპალიტეტის მერმა აღნიშნა, რომ ის, რაც მოხდა ხარკოვის ოლქში, მართლაც საშინელი კატასტროფაა, რასაც ასევე, შეეწირა ადამიანების სიცოცხლე. ჯერ-ჯერობით კიდევ უცნობია, თუ რა საშინელი შედეგი მოჰყვება აღნიშნულ ფაქტს, რადგან იგი გამოიწვევს სხვადასხვა ეპიდემიას, რაც, თავის მხრივ, გავლენას იქონიებს შავ ზღვაზე.

საკრებულოს ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარემ, **კახაბერ ასკურავამ** ასევე, აღნიშნა, რომ მასთან მოსული იყო მშვიდობის ქუჩის რამდენიმე მაცხოვრებელი, რომლებიც აპირებენ ხელმოწერების შეგროვებას, რადგან გზა კატასტროფულ მდგომარეობაშია.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **კარლო კვიტაიშვილმა** განმარტა, რომ საუბარია მშვიდობის ქუჩაზე, რომელიც ინფრასტრუქტურულ პროექტებში გათვალისწინებულია და მოწესრიგდება თავიდან ბოლომდე. პროექტი უკვე მზადაა და ფინანსების ჩამორიცხვისთანავე დაიწყება შესაბამისი სამუშაოები.

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ემზარ თევდორაძემ** მიმართა მუნიციპალიტეტის მერს, რომ როდესაც დაიწყება ასფალტზე საგზაო მონიშვნების დატანა, კარგი იქნება თუ გაითვალისწინებენ ორი ხიდის შეღებვას.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი